ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭო

ოქმი:**ო47. 47233282**
თარიღი:**24/11/2023**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სხდომის

ოქმი N9

დ. ჩოხატაური 21.11. 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე - მარინე ბერაძე

სხდომის მდივანი: მარიტა მგალობლიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

ზაალ მამალაძე, ქეთევან სიხარულიძე, ლაშა თოლორდავა, მაია პაიჭაძე, სოფო ჯინჭარაძე, ნინო კაპანაძე, მანანა მინდაძე, მედეა შარაშიძე,იამზე ტაკიძე, ჯუმბერ ბერძენიშვილი,

არ ესწრებოდნენ: ნათია ლალიაშვილი, მარინე თავაძე, ლაშა ირემაძე, მაია გიორგაძე, თეა მამალაძე, ნინო რამიშვილი, ნანა ცინცაძე

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა და დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და მერიაში წარსადგენად საბიუჯეტო ინიციატივების შემუშავება.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. შშმ პირთა დედების განცხადებების განხილვა

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და მერიაში წარსადგენად საბიუჯეტო ინიციატივების შემუშავება

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

4. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეულის ფარგლებში (25 ნოემბერი - 10 დეკემბერი) ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ.

მომხსენებელი:მარიტა მგალობლიშვილი

1. პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მარინე ბერაძემ გააცნო საბჭოს წევრებს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული გენდერული თანასწორობის ხელშწყობის ბიუჯეტი და ღონისძიებები .

გამოითქვა მოსაზრება რომ მიმდინარე წლის პროგრამებიდან და კონკურსიდან გამომდინარე საჭიროა გაიზარდოს მათი დაფინანსება. საბოლოოდ საბჭო შეთანხმდა შენიშვნებისა და საბიუჯეტო ინიციატივის შემდგომ ფორმატზე, რომელიც წარედგინება მუნიციპალიტეტის მერს:

1. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების (05 05 02) თანხა გაიზარდოს 30 000 ლარამდე, აქედან 10 000 ლარი განისაზღვროს ШШ პირთა დედების მიერ წარმოდგენილი მცირე პროექტების დასაფინანსებლად. 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 5 000 ლარი, მაგრამ პროგრამის საჭიროებიდან და ბენეფიციართა რაოდენობიდან გამომდინარე საჭირო გახდა ბიუჯეტში ცვლილება და ხარჯი შეადგენდა 9 000 ლარზე მეტს. შესაბამისად საჭიროა ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდოს 10 000 ლარამდე.

2. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერი კონკურსის ჩასატარებლად 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნას 20 000 ლარი. კონკურსის აქტუალობიდან გამომდინარე და წარმოდგენილი ხარისხიანი პროექტებიდან გამომდინარე, რომელთა დაფინანსებაც ვერ მოხერხდა მცირე ბიუჯეტის გამო, დადგა საჭიროება, რომ კონკურსის ბიუჯეტი 2024 წელს გაიზარდოს 20 000 ლარამდე, მეწარმე ქალთა მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით.

3. 05 00 პროგრამული კოდის დასახელებებში ტექნიკური უზუსტობაა ყველგან დასათაურება უნდა იყოს ამ ფორმით: „კულტურა, რელიგია, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში აისახოს გენდერული თანასწორობის კოდი 05.05 – 40 000 ლარი

პროგრამის დასახელება	კოდი	დაფინანსება ათას ლარში
	05 05	**40 .0**

პროგრამის განმახორციელებელი	**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია**
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ჩოხატაურის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკაში გენდერული მიდგომების გათვალისწინება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისას (საჯარო შეხვედრები, დისკუსიები, სოფლის კრებები და სხვა) გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინების ხელშეწყობა, გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების კვლევა. გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მუნიციპალური პროგრამების და პროექტების შემუშავება და განხორციელება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით პროექტების დაფინანსება, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია(25 ნოემბერიდან 10 დეკემბრამდე), ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდების და სკოლის პედაგოგების ინფორმირებულობის გაზრდა, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობის გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება, ადრეული ქორწინების პრევენცია, საკითხები რასაც მოიცავს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა განხორციელებულია, გენდერული თანასწორობა ხელშეწყობილია

			დაფინანსება

ვეპროგრამის დასახელება	კოდი **05 05 01**	**გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა**	ათას ლარში **10 000**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია**		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჩოხატაურის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში ინტერ მუნიციპალური ფორუმის „ქალები ცვლიან“ ჩატარება. მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკაში გენდერული მიდგომების გათვალისწინება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისას (საჯარო შეხვედრები, დისკუსიები, სოფლის კრებები და სხვა) გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინების ხელშეწყობა, გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების კვლევა.		
მოსალოდნელი შედეგი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა ეფექტურია, მოქალაქეთა ცნობიერება ამაღლებულია. ტრენინგები, შეხვედრები, დისკუსიები ჩატარებულია. ინტერ მუნიციპალური ქალთა ფორუმი „ქალები ცვლიან“ ჩატარებულია		
ვეპროგრამის დასახელება	კოდი **05 05 02**	**ქალთა ეკონომიკური გაძლიერება**	დაფინანსება ათას ლარში **30 000**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია**		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	• ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით კონკურსის გამოცხადება ადგილობრივი ქალი მეწარმეებისთვის, სადაც ისინი კონკურსში გამარჯვების შედეგად მოიპოვებენ შესაბამის დაფინანსებას. • 2022 წელს ჩატარებული შშმ პირების დედების ფოკუს ჯგუფების კვლევის საფუძველზე შშმ პირთა დედებისთვის დასაქმებისა და შემოსავლების მიღების ხელშეწყობის მიზნით მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის დაფინანსება, თითოეულ ბენეფიციარზე არაუმეტეს 1 500 (ათასხუთასი) ლარისა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ქალები, მათ შორის შშმ პირთა დედების ეკონომიკური გაძლიერება ხელშეწყობილია, კონკურსი ჩატარებულია.		
ვეპროგრამის დასახელება	კოდი **05 05 02**		დაფინანსება ათას ლარში **30 000**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია**		
ქვეპროგრამის			

აღწერა და მიზანი	
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ქალები, მათ შორის შშმ პირთა დედების ეკონომიკური გაძლიერება ხელშეწყობილია, კონკურსი ჩატარებულია.

2. მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი იქნა 2 განცხადება, რომლითაც განმცხადებლები ითხოვდნენ მათი მცირე ბიზნეს იდეების დაფინანსება ლარით.

   გენდერული თანასწორობის საბჭოს გადაწყვეტილებით მიეცეს რეკომენდაცია მუნიციპალიტეტის მერს ეკა ბერიშვილს და ნინო ცინცაძეს გაეწიოთ ფინანსური დახმარება თითოეულს 500 ლარის ოდენობით შშმ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამიდან.

   საბჭომ სრულად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ განცხადებებს.

3. მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა წინადადება ყოველწლიური გენდერული სტატისტიკის წარმოების მიზნით გამოთხოვილი იქნეს ინფორმაცია მერიიდან, საკრებულოს აპარატიდან, ა(ა) იპ-ებიდან, ასევე მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და სპორტულ ღონისძიებათა ცენტრიდან ჩაშლილი სტატისტიკური მონაცემების გამოთხოვის შესახებ.

4. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეულის ფარგლებში (25 ნოემბერი - 10 დეკემბერი) ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ წარმოდგგენილი იქნა რამდენიმე მოსაზრება, რომელიც დამუშავდება საბჭოს მიერ და გრაფიკი ოფიციალურად იქნება წარდგენილი გენდერული თანასწორობის საბჭოს ფეისბუქ გვერდზე.

   საბჭოს წევრების მიერ წარმოდგენილი იქნა სხვადასხვა მოსაზრებები მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით:

   მანანა მინდაძე - მაქვს დაახლოებით 9 ბავშვზე მონაცემები, რომლებიც ძირითადად მხოლოდ საბავშვო ბაღში იკვებებიან და მშობლებს არ აქვთ გამომუშავებული უნარები , რომ ბავშვებს სრულყოფილად მზა საკვები მიაწოდონ სახლში. მე მივაწვდი მონაცემებს ბავშვტა უფლებების დაცვის განყოფილებას და რეაგირებაც საჭიროა ამ საკითხზე.

   მედეა შარაშიძე- ჩვენი ირგანიზაცია „ოდა ქეარი“ ახორციელებს სახელმწიფო პროგრამით, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა ასეთი ოჯახების , ბავშვების და მშობლების დახმარება, კონკრეტულად ამ შემთხვევაში მშობლის უნარების განვითარება.

   მაია პაიჭაძე - მაქვს ინიციატივა გავაკეთო სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მშობლებისთვის ტრეინინგების ორგანიზება, რომელიც მოემსახურება მშობლების ცნობადობის ამაღლებას ბავშვის მიერ ტელეფონის (...დასხვ.) ხანგრძლივი და ხშირი გამოყენებისას საფრთხეებისა და აქედან გამომდინარე მოსალოდნელი ნეგატიური გავლენების შესახებ. ასევე, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მშობლებისთვის ტრეინინგი მშობელთა ცნობადობის ამაღლების მიზნით ბავშვთა ანტიბიოტიკოთერაპიუასთან დაკავშირებით საჭირო, პრაქტიკული რჩევების გაზიარება.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

მარინე ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
გენდერული თანასწორობის საბჭო-საბჭოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი